491.71
ს-442

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ცერცვაძე მზია გიგლას ასული

სუბიექტური მოდალობის გამოხატვის საშუალებანი
რუსულ ენაში

10.02.03 – სლავური ენები

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

დისერტაციისა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

თ ბ ი ლ ი ს ი
1998

ნაშრომი შესრულებულია ა. ა. რაზმაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის რუსული ენის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ვ. ნ. ბერეგოვაძე

ექსპერტი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მ. კობახიძე

ოფიციალური ოპონენტები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გ. ა. მახარობლიძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი დ. ა. ალანია

წამყვანი ორგანიზაცია: საქართველოს აკადემიის ა. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

დისერტაციის დაცვა შედგება "30" ოქტომბერს 1998 წ. "12⁰⁰"

საათზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ Р 10.01С № 5 **სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე**

მისამართი: 380028, **თბილისი,** მ. ყავსაძის გამზირი № 1

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.

ავტორეფერატი დაიგზავნა "29" სექტემბერს 1998 წ.

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნ. ციკარეიშვილი

-1652-

ნაშრომის საერთო დახასიათება

მოცემული დისერტაცია ეძღვნება სუბიექტური მოდალობის გამოხატვის საშუალებების შესწავლას რუსულ ენაში და მათი ქართული შესიტყვებების გამოვლენას.

სუბიექტური მოდალობა - ენის გრამატიკული კატეგორია, რომელიც გამოხატავს მთქმელის დამოკიდებულებას გამონათქვამისადმი და გადმოიცემა მეტყველებაში სხვადასხვა ენობრივი საშუალებებით.

ნაშრომის აქტუალობა. საყოველთად ცნობილია, რომ ენა ვითარდება საზოგადოების განვითარებასთან ერთად. ის თავის სუბსტანციულ დინამიკაში ასახავს საზოგადოებრივ პროგრესს, და რამდენადაც, ენის მატარებელი ადამიანები გამუდმებით იმყოფებიან ერთმანეთთან და გარშემყოფ სინამდვილესთან ურთიერთობაში და რეალიზებენ მათ (აფასებენ, გამოხატავენ, ამტკიცებენ, აცნობებენ და ა.შ.) ძირითადად ენის საშუალებით, ამდენად ნათელი ხდება მოდალობის შესწავლის აუცილებლობა ენასთან დამოკიდებულებაში. ამასთან დაკავშირებით უკანასკნელ ხანებში თანამედროვე ლინგვისტიკაში სულ უფრო მეტი ყურადღება ეთმობა მოდალობის კატეგორიის შესწავლას, რომელიც გამოხატავს სუბიექტურ და ობიექტურ დამოკიდებულებას ენაში და მეტყველებაში. მაგრამ ბევრი საკითხი, რომელიც დაკავშირებულია მოდალობასთან, მოითხოვს შემდგომ გააზრებას, დაზუსტებას, კონკრეტიზაციას. ჯერ კიდეე არ გაგვაჩნია ერთიანი აზრი თვით მოდალობის კატეგორიის არსის შესახებ, თვით მოდალური მნიშვნელობების დიფერენციაცია ასევე არ გამოირჩევა ერთიანობით.

ნაშრომის აქტუალობა მდგომარეობს იმაში, რომ მოხდეს სუბიექტური მოდალობის ცნების ვერიფიცირება სხვადასხვა ენებში. ცნებით კატეგორიებს, როგორც ცნობილია, აქვთ უნივერსალური ხასიათი, ისინი გადმოგვცემენ შესაბამისი ენობრივი საშუალებებით განზოგადებულ მნიშვნელობებს გამოხატავენ ისეთ მნიშვნელობებს (ცნებებს), რომლებიც ვლინდებიან თვით ენაში, მის ლექსიკაში, გრამატიკულ წყობაში"[1]. რადგანაც სუბიექტური მოდალობა მიეკუთვნება ცნებით კატეგორიას და ვლინდება სხვადასხვა ენებში, უნდა იყოს დადგენილი ამ სემანტიკის კატეგორიების შესატყვისების პრინციპები. ნაშრომში პირველად არის განხილული რუსული ენის მოდალობის გამოხატვის საშუალებები (მოდალური სიტყვები, შესიტყვეტეტი, ნაწილაკები) ქართულ ეკვივალენტებთან შედარებით.

გამოკვლევის მიზნები და ამოცანები. მოცემული ნაშრომის მიზანია სუბიექტური მოდალობის გამოხატვის საშუალებათა განზოგადება რუსულ ენაში და მათი შესატყვისობების გამოვლენა ქართულ ენაში. ვინაიდან მოცემული შრომის ჩარჩოებში შეუძლებელი იყო წარმოგვედგინა სუბიექტური მოდალობის გამოხატვის ყველა საშუალებათა ქართული ეკვივალენტები, ჩვენ ვიფარგლებით მოდალურ სიტყვათა, ნაწილაკების, სიტყვათშეხამების აღწერილობით.

[1] Мещанинов И.И. Члены предложения и части речи. М., 1946.

ეროვნული ბიბლიოთეკა